

ნებაყოფლობით დაბრუნება დახმარებით, რეინტეგრაცია და ღია ტიპის მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) ატივის ოლქში (AVRR/OCAVRR)

ფიქრობთ სახლში დაბრუნებაზე?

მსო-ს შეუძლია დაგეხმაროს!

გაკვეთეთ განცხადება AVRR-ს პროგრამით სარგებლობაზე იმ შემთხვევაში
თუ ადარ გსურთ საბერძნეთში დარჩენა და აკმაყოფილებთ შემდეგ პირობებს:

- არ გაგაჩნიათ საბერძნეთში დარჩენის იურიდიული (ლეგალური) დოკუმენტები.
- უარი გეთქვათ თავშესაფრის მიღების მოთხოვნაზე
- გსურთ უარი განაცხადოთ თქვენს თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადზე

თქვენი საჭიროების შესაბამისად მსო-ს შეუძლია დაგეხმაროს შემდეგში:

- ინდივიდუალური ინფორმაციის მიწოდება თქვენს ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ და პროგრამით გათვალისწინებული სარგებლისა და დახმარების შესახებ.
- დახმარების გაწევა თქვენი სამგზავრო დოკუმენტების გაცემაში.
- თვითმფრინავით ტრანსპორტირება თქვენს სამშობლოში, აგრეთვე ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირება საჭიროების შემთხვევაში.
- დახმარება საბერძნეთის აეროპორტში თქვენი გამგზავრებისას, ასევე დახმარება ტრანზიტის დროს და სამშობლოში ჩასვლისას, თუ იქნება ამის საჭიროება.
- ეკონომიური ერთეურადი დახმარება თქვენთვის და თქვენი ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც მგზავრობენ თქვენთან ერთად.

თუ თქვენ ხართ დაუცველი ან გაქვთ სპეციფიკური საჭიროებები (მაგალითად გაქვთ ჯანმრთელობის პრობლემები ან ხართ თანხმების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი), ჩვენ ინდივიდუალური დახმარებით ხელს შევიწყობთ დაბრუნების მომზადების ყველა ეტაპზე.

სპეციფიკური კრიტერიუმების გათვალისწინებით, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მატერიალური დახმარება თქვენს სამშობლოში რეინტეგრაციისათვის. ეს დახმარება შეიძლება მოიცავდეს მცირე ბიზნესის წამოწყებას, სწავლას, დროებითი საცხოვრებელი ადგილის ხარჯების დაფარვას, პროფესიულ მომზადებას, მატერიალურ და სამედიცინო დახმარებას.

პროცედურის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გადაწყვიტოთ პროგრამის დატოვება.

დაუკავშირდით მსო-ს ყოველგვარი მოვალეობის გარეშე, ყველა სახის დახმარება უფასოა.